საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

პარასკევი,
17
ივლისი
1936 წ.
№ 164 (4673)

ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

- ამხ. სტალინისა და მოლოტოვის სამძიმარი აკად. ა. პ. კარპინსკის გარდაცვალების გამო.
- თამბაქო მაღალი ხარისხის! (მეთაური).
- ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრებისა საქართველოსა და აზოვ-შავი ზღვის მხარეს შორის თამბაქოს დარგში 1936 წლისათვის.
- არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. ალკსნისი პრაღას გაფრინდა
- სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიმართვა საბჭოთა კავშირის მეცნიერ მუშაკებისადმი ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის გარდაცვალების გამო.
- ანდრე ჟიდი საქართველოში.
- ვ. ი. ლენინის ძეგლის შენახვა ქ. ტფილისში (ა. ფ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს დადგენილება).
- შეთანხმება სრუტეთა რეჟიმის კონვენციის ინგლისური პროექტის მე-16 მუხლის შესახებ

თამბაქო მაღალი ხარისხის!

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა ჟიურის დადგენილება 1935 წლის მეთამბაქოობის გეგმების საუკეთესო შესრულებაზე საქართველოსა და აზოვ-შავიზღვის მხარეს შორის მოწყობილ სოცშეჯიბრების პირველი შედეგების შესახებ. როგორც ამ დადგენილებაში არის ნათქვამი, გასული წლის თამბაქოს გეგმების შესრულებაში საქართველოს რესპუბლიკამ აფხაზეთის ჩათვლით პირველი ადგილი დაიკავა, თამბაქოს როგორც დამზადების, ისე შესყიდვის გეგმა საქართველოს მეთამბაქოობის რაიონებმა საგრძნობი გადამეტებით შეასრულეს.

აზოვ-შავიზღვის მხარესთან სოცშეჯიბრების პირველ ტურში საქართველოს ორდენოსანი რესპუბლიკის ბრწყინვალე გამარჯვება მოწმობს, რომ სამრეწველო მეთამბაქოობა ჩვენში სერიოზულად იკაფავს გზას შემდგომი სწრაფი აღმავლობისაკენ.

თუ უკანასკნელ განვლილ წლებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ თამბაქოს კულტურის მოსავლიანობაში მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი. ასე, მაგალითად, თუ 1932 წელს ჰექტარზე სასაქონლო თამბაქოს მოსავალი 4 ცენტნერს არ აღემატებოდა, შარშან ჩვენ რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ ჰექტარზე მივიღეთ 9,2 ცენტნერი მოსავალი, მიმდინარე წელს პლანტაციებს ისეთი პირი უჩანს, რომ თამბაქოს მოსავალი შარშანდელზე მეტი იქნება.

ასეთია პირველი და სერიოზული წარმატება, რაც მოპოვებულია უკანასკნელ 3-4 წლის განმავლობაში.

შეგვიძლია თუ არა ამ მიღწევებით დავკმაყოფილდეთ? რასაკვირველია, არა! ძირითადი და გადამწყვეტია თამბაქოს ხარისხის ამაღლების საკითხი. ამ საქმეში კი ჩვენ დღემდე, სერიოზულად ჩამოვრჩებით. ჟიურიმ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ 1935 წლის თამბაქოს დამზადების გეგმა რაოდენობასთან ერთად ასორტიმენტის მიხედვითაც მხოლოდ აფხაზეთმა შეასრულა. საქართველოს მეთამბაქოობის ძირითადმა რაიონებმა — ლაგოდეხმა, სიღნაღმა ხარისხოვანი თამბაქოს დამზადებაში გასულ წლებთან შედარებით მაღალი მაჩვენებლები მოგვცეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ სტანდარტისა და ასორტიმენტის დაწესებული სახელმწიფო გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში ვერ შევასრულეთ.

და აი ჩვენს წინაშე ისმება ამოცანა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ თამბაქოს პლანტაციების მოვლა, მოსავლის აღება, მისი გაშრობა, შეფუთვა და წელსვე მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებაში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიმდინარე წელს თამბაქოს სტანდარტისა და ასორტიმენტის მხრივ მოცემულია გაცილებით მეტი ნორმები, ვიდრე შარშან იყო. ეს გვავალებს გადაჭრით მოვუღოთ ბოლო თამბაქოს ხარისხისათვის ბრძოლის შეუფასებლობას და დავრაზმოთ მთელი ძალები, რათა სახელმწიფოს მიერ დაწესებული სავალდებულო ასორტიმენტი მტკიცედ იქნას დაცული თვითეული კოლმეურნეობისა და მეთამბაქოეს მიერ. თამბაქოს მხოლოდ მაღალი მოსავლის მიღებით გატაცება და ხარისხის უგულებელყოფა, რასაც დღემდე ვხვდებით მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა კოლმეურნეებმა იცოდნენ ის მათთვის საზიანო შედეგი, რაც მოჰყვება დამზადებათა გეგმების შეუსრულებლობას ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. უნდა იცოდნენ, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები, სადამამზადებლო ფასების გაცემისა და პრემიების განაწილების დროს უმთავრეს ყურადღებას თამბაქოს სტანდარტსა და ასორტიმენტს მიაქცევენ.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ თამბაქოს მოსავლის აღებას. დროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მეთამბაქოეთა კვალიფიკაციის ამაღლებას. თამბაქოსათვის ყვავილის წაწყვეტის, გვერდის ყლორტების შეცლის, სრული სიმწიფის პერიოდში შეტეხის, აცმისა და შეფუთვის წესებს დაწვრილებით უნდა იცნობდეს ყველა მეთამბაქოე.

ამ საქმეში აგრონომ სპეციალისტების მთლიანად გამოყენებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თამბაქოს სტახანოველთა და პროფესიონალ ოსტატთა გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას. ისეთ მოწინავე მეთამბაქოე სტახანოველთა მუშაობის მეთოდებს, როგორიც არიან ბოსტანჯიანი — აფხაზეთში, ბარბაქაძე — ლაგოდეხში, ყაჯრიშვილი — სიღნაღში და სხვ. — ყველა კოლმეურნე და ერთპიროვნული მშრომელი უნდა იცნობდეს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ მოვაწყოთ ფოთლის დახარისხება შეტეხისა და აცმის დაწყებისთანავე და დაწესებული სტანდარტის მოთხოვნებთან მტკიცე შეფარდებით დავიცვათ თამბაქოს ხარისხი.

პირველმა წარმატებამ მოძმე მხარესთან შეჯიბრებაში თამბაქოს გეგმების სანიმუშო შესრულებაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითკმაყოფილება და დემობილიზაცია. პირიქით, საჭიროა ენერგიის მეტი დაჭიმვა და მთელი ძალების მობილიზაცია იმისათვის, რომ მეთამბაქოობის 1936 წლის გეგმა პირველ რიგში ხარისხის მიხედვით დაწესებულ ვადებში შესრულდეს.

ორდენოსან საქართველოს მშრომელთა შეჯიბრება აზოვ-შავიზღვის მხარესთან თამბაქოს გეგმების საუკეთესო შესრულებაზე გრძელდება. ამ შეჯიბრებაში შემდგომი წარმატების საბრძოლო ამოცანას უმთავრესად სწყვეტს თამბაქოს ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

ხელშეკრულება

სოციალისტური შეჯიბრებისა საქართველოსა და აზოვ-შავი-ზღვის მხარეს შორის თამბაქოს დარგში 1936 წლისთვის

საბჭოთა კავშირის თამბაქოს ორი გადამწყვეტი რაიონის — ერთი მხრით აზოვ-შავიზღვის მხარისა და მეორე მხრით საქართველოს სსრ რესპუბლიკისა (აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ჩათვლით) სოციალისტური შეჯიბრება 1935 წელს მიმდინარეობდა მოსავლის გადიდებისა და კოლმეურნეობათა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და კოლმეურნეების შეძლებულად გადაქცევის შესახებ ხალხის ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგების შესრულების და საქართველოს და აზოვ-შავიზღვის მხარის ხალხთა გულწრფელი მეგობრობის ნიშნით, მან ხელი შეუწყო ასობით კოლმეურნეობისა და ათასობით კოლმეურნეთა მობილიზებას მოსავლიანობის გადიდებისა და თამბაქოს ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად, ათობით მოწინავე კოლმეურნეობების წამოყენებას, რომელთათვისაც მეთამბაქოობა შეძლებული ცხოვრების ძირითადი წყარო გახდა, და ათასობით კოლმეურნეების — მაღალი მოსავლიანობის მოწინავეეთა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატთა დაწინაურებას.

ამის გამო საქართველოს სსრ რესპუბლიკის და აზოვ-შავიზღვის მხარის დელეგაციები, რომელთაც თავი მოიყარეს მოსკოვში 1935 წლის შეჯიბრების შესაჯამებლად, თანახმად კოლმეურნეობათა სურვილისა — განაგრძობენ სოციალისტური შეჯიბრებას, სდებენ ამ სოციალისტურ ხელშეკრულებას თამბაქოს 1936 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

შეჯიბრებული მხარეები მხედველობაში ღებულობენ ჟიურის მითითებებს თამბაქოს მანქანით დარგვის შესახებ და 1937 წლის მომავალი რგვის კამპანიას და ამ მითითებებს ღებულობენ, როგორც 1936 წლის ხელშეკრულების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას.

არბიტრად მოწვეულია 1935 წლის შეჯიბრების ჟიური.

აზოვ-შავიზღვის მხარის
დელეგაცია:

ლ. ი. სტუკელმანი — თამბაქოს სამმართველოს უფროსი.
ლუკიანჩენკო — აზოვ-შავი ზღვის მხარის კანტორის მმართველი.
შერემეტიევი — სევერსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.
ჟუჩკოვი
კორნიაშევა
ქალ. კლიუჩევსკის რაიონი.
მოისეენკო — აბინსკის რაიონი.
ჩუნდიშკო
ტუგუზი ადიგეის ა. ო.
იშხიანი — ადლერის რაიონი
სარნაზიდი — ბერძენთა რაიონი.
ანაშკინა — ტულის რაიონი
ხრუსტალიოვი — სლავიანსკის რაიონი.
რამონოვი — ნეფტეგორსკის რაიონი.
პარტალიანი — სომხეთა რაიონი.
კაფეჯიანი
მოლჩანოვა — სევერსკის რაიონი.
მაკიევსკი.

საქართველოს სსრ რესპუბლი
კის დელეგაცია:

აზარაშვილი — საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი.
მიქელოვი — საქართველოს მიწსახკომის თამბაქოს სამმართველოს უფროსი.
თავბერიძე — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის თამბაქოს სამმართველოს უფროსი.
დოლბაია — გაგრის რაიონი
ახბა — გუდაუთის რაიონი
კონსტანტინიდი — სოხუმის რაიონი.
დემერჩიანი — ოჩემჩირის რაიონი.
შუბითიძე — ლაგოდეხის რაიონი
ნაროუშვილი — ზუგდიდის რაიონი.
ნატროშვილი — ლაგოდეხის რაიონი.
ყარდაშიანი — ბორჩალოს რაიონი.
ხალვაში — აჭარა
ყაჯიშვილი — სიღნაღის რაიონი.
ჯოჯუა — ტფილისი, მიწსახკომი.
ჭაჭიაშვილი — საქთამბაქნედლეული.

ქალ. მოსკოვი, 1936 წ.
6 ივლისი.

შეთანხმება სრუტეთა რეჟიმის კონვენციის ინგლისური პროექტის მე-16 მუხლის შესახებ

მონტრე, 15 ივლისი. ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა მხარი დაუჭირეს მოლაპარაკების დროს მიღწეულ შეთანხმებას სრუტეთა რეჟიმის კონვენციის ინგლისური პროექტის მე-16 მუხლის შესახებ. რუმინეთის, სამხრეთსლავიისა და იაპონიის დელეგაციებმა დადებითად შეაფასეს შეთანხმება, მაგრამ განაცხადეს, რომ თავის მთავრობებს უნდა შეეკითხონ, თუ რა აზრისა არიან. ბულგარეთის დელეგაციამ შენიშვნა გააკეთა თავდაუსხმელობის პაქტების საკითხის შესახებ. (ატს).

◇ ◇ ◇

შეშფოთება სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში

ვენა, 15 ივლისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, ავსტრია-გერმანიის შეთანხმების დადებამ დიდი შეშფოთება და ნერვიულობა გამოიწვია სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში. ბელგრადში შეთანხმების დადებას სთვლიან თუ ფორმალური არა„ ყოველშემთხვევაში ფაქტიური რევიზიონისტური ბლოკის მომზადებად რომსაც ბერლინსა, ვენასა, ბუდაპეშტსა და ვარშავას შორის. ამ წრეების აზრით, აღნიშნული ბლოკის მახვილი აგრეთვე მიმართული იქნება მცირე ანტანტის და დუნაის ბასეინში მისი ინტერესების წინააღმდეგ. (ატს).

◇ ◇ ◇

არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. ალკსნისი პრაღას გაფრინდა

მოსკოვი, 16 ივლისი. 15 ივლისს დილის 3 საათზე თვითმფრინავით „ანტ-6" მოსკოვიდან პრაღას გაფრინდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი, არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. ი. ი. ალკსნისი.

ეს გაფრენა ჩეხოსლოვაკიაში საპასუხო ვიზიტია 1935 წელს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ავიაციის უფროსის გენერალ ფაიფრის ვიზიტისა.

ამხ. ალკსნისთან ერთად არიან ბრიგადის მეთაური ამხ. პტუხინი, მაიორი ამხ. შევჩენკო, მეორე რანგის სამხედრო ინჟინერები ამხ. პროშეკო და მარკოვი.

თვითმფრინავი მიჰყავთ მფრინავებს მაიორებს ამხ. იუმაშევსა და შახტს.

აეროდრომზე ამხ. ალკსნისი გააცილეს ჩეხოსლოვაკიის მისიის საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ბატონმა შუსტმა, სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ატაშეს მოადგილემ კაპიტანმა კიუნელმა, სამხედრო საჰაერო ძალთა შტაბის უფროსმა კორპუსის სარდალმა ამხ. ლავროვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მეორე დასავლეთის განყოფილების გამგემ ამხ. შტერნმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ბარკოვმა, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ამხ. გეკერმა, სამხედრო საჰაერო ძალთა საგარეო განყოფილების უფროსმა, ბრიგადის კომისარმა ამხ. იანელმა, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ავიაციის დარგში დივიზიის მეთაურმა ამხ. უვაროვმა, მფრინავებმა და პარაშუტისტებმა.

ორდენოსანმა—პარაშუტისტმა ქალებმა ამხ. შიშმარიოვამ და პიასეცკაიამ ამხ. ალკსნისს დიდი თაიგული უძღვნეს. (ატს).

○

პრაღა, 15 ივლისი. დღეს თვითმფრინავით ჩამოვიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. ალკსნისი. აეროდრომზე მას გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის ავიაციის უფროსი გენერალი ფაიფრი, გენერლები გუსარევი და ფიალა, ჩეხოსლოვაკიის არმიის ოფიცერთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მინისტრი მილერი, საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს წარმომადგენელი ბეროუნსკი, მოსკოვ-პრაღის ავიოხაზის დირექტორი სტოჩესი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის პრესის წარმომადგენლები. შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში ამხ. ალექსანდროვსკი, სრულუფლებიანი წარმომადგენლის მრჩეველი ამხ. თუმანოვი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი შნიტმანი და სხვები. (ატს).

◇ ◇ ◇

დეტერდინგი გერმანიაში სახლდება

ბერლინი, 15 ივლისი. „ანგრიფი" როტერდამიდან იუწყება, რომ ინგლისის ცნობილმა ნავთის მაგნატმა გენრი დეტერდინგმა გადასწყვიტა საცხოვრებლად გადასახლდეს გერმანიაში. გაზეთის სიტყვით, დეტერდინგმა ამ მიზნით უკვე შეიძინა დიდი მამული მეკლენბურგში. გაზეთი დასძენს, რომ დეტერდინგი დარჩება ნავთის კომპანიის „როიალ დეტჩ შელის" ხელმძღვანელად. აქედან გაზეთს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ამგვარად მსოფლიო კონცერნის ცენტრი გადატანილი იქნება გერმანიაში (ატს).

◇ ◇ ◇

ჩეხო-სლოვაკიის საჰაერო თავდაცვის მანევრები

პრაღა, 15 ივლისი. 14-დან 18 ივლისამდე ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური თავდაცვის სამინისტრო აღმოსავლეთ ჩეხიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მორავიის რაიონებში ატარებს სამოქალაქო საჰაერო თავდაცვის დიდ სასწავლო მანევრებს. მანევრების მიზანია იმის გამოცდა, თუ რამდენად მზად არიან ავიაცია და მოსახლეობა საჰაერო თავდაცვისათვის. მანევრების შედეგთა შესასწავლად ავიაციის უფროსის გენერალ ფაიფრის თავმჯდომარეობით შექმნილია კომისია, რომელშიაც შედიან ნაციონალური თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ფოსტისა და ტელეგრაფის, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროების წარმომადგენლები. (ატს).

ანდრე ჟიდი საქართველოში

მისასალმებელი სტრიქონები

16 ივლისს დილის ანდრე ჟიდმა მიიღო პრესის წარმომადგენლები და გაუზიარა მათ მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი. სახელოვანმა მწერალმა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოსთქვა საქართველოს სამხედრო გზის სილამაზის გამო.

მეგობრული საუბრის ბოლოს ანდრე ჟიდმა ბლოკნოტის ფურცელზე ფრანგულად დასწერა რამდენიმე სტრიქონი და გადასცა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს.

ანდრე ჟიდმა დაათვალიერა ტფილისი

გუშინ, 16 ივლისს, ანდრე ჟიდმა, დაბიტმა, გიიომ, ეგე-ლასტმა და შიფრინმა, საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერეს ტფილისი. სტუმრები გაეცნენ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, რომლებითაც ძლიერ დაინტერესდნენ.

○

დღეს, საღამოს 9 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში („ყოფ. „სტელა") საქართველოს მწერალთა კავშირი აწყობს საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრას ანდრე ჟიდთან.

○

ყრილობის მიერ ქალთა ახალგაზრდობის შორის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ (მომხსენებელი ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ფოფხაძე) და ახალგაზრდობის განათლებისა და ბლების შესახებ (საშუალო განათლების სკოლები, მოზარდთა სკოლი წარმოებას მოუწყვეტლივ და

გამოვიდა პლენუმის დასასრულს ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის მდივანი ამხ. ვ. ბაქრაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქ. ალკკ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნებმა ამხ. გიორგობიანმა და ბლაუმ.

მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი.

ლენინ-სტალინის პარტიამ, კომუნიზმის დიად მასწავლებელთა პირადი ხელმძღვანელობით, გამოზარდა ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწეთა, სამეურნეო და სამხედრო ორგანიზატორთა, დიპლომატთა, მწერალთა, პროპაგანდისტთა, ადმინისტრატორთა თაობა, რომლებითაც კანონიერად ამაყობს ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. მათ რიცხვს ეკუთვნის დღევანდელი სახელოვანი იუბილიარიც, მაქსიმე მაქსიმეს-ძე ლიტვინოვი.

„პრავდის" მოწინავე, 17/VII.

აკადემიკოსი ა. პ. კარპინსკი

მთავრობის ცნობა

სსრ კავშირის მთავრობა მწუხარებით იუწყება, რომ ა-წ. 14 ივლისს, ღამით აგარაკზე მოსკოვის ახლოს გულის სიდამბლით, რაც შედეგად მოჰყვა მძიმე ავადმყოფობას, გარდაიცვალა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკი, დაბადებიდან მე-90 წელს.

საბჭოთა კავშირმა აკადემიკოს ა. პ. კარპინსკის სახით დაჰკარგა თავისი ერთერთი უდიდესი მეცნიერი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი ხელმძღვანელი 1916 წლიდან მოყოლებული.

აკადემიკოსი ა. პ. კარპინსკი, რომელმაც თავისი მეცნიერული ნაშრომებით მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, საბჭოთა გეოლოგიის ფუძემდებელია და მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა ქვეყნის წინაშე.

○

ა. პ. კარპინსკის დაკრძალვა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. პ. კარპინსკის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნას მთავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: აკადემიკოსი გ. მ. კრჟიჟანოვსკი, (თავმჯდომარე), ნ. ა. ბულგანინი, კ. ი. ბაუმანი, ი. ს. უნშლიხტი, აკადემიკოსი ნ. პ. გორბუნოვი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ა. ბოგომოლეცი, აკადემიკოსები. ა. ე. ფერსმანი ე. ვ. ბრიცკე ა. მ. დებორინი, ვ. ა. ობრუჩევი.

კუბო ა. პ. კარპინსკის ცხედრით 16 ივლისის დილიდან დასვენებულია კონსერვატორიის დიდ დარბაზში, რათა ქალაქ მოსკოვის მშრომელნი გამოეთხოვონ მას.

დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფომ იკისრა. (ატს)

○

სამედიცინო დასკვნა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. პ. კარპინსკის გარდაცვალების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. პ. კარპინსკი 89 წლისა, რომელიც დაავადებული იყო კორდიო სკლეროზითა და არტერიოსკლეროზით, გულის კომპენსაციის დარღვევით, 19 ივნისს ავად გახდა მწვავე ენტეროკოლიტით მძიმე გემოროგიული ფორმით. 10 ივლისს დილას ავადმყოფობას დაერთო გულის მოქმედების შესუსტება. 13 ივლისს ღამით მიუხედავად მიღებული ზომებისა, გულის მოქმედების დაცემამ პროგრესულად განვითარება იწყო, და 15 ივლისს, 1 საათსა და 50 წუთზე ა. პ. კარპინსკი გარდაიცვალა გულის სიდამბლის მოვლენებით.

მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე პროფესორი:
რ. ა. ლურიე.
ექიმები:
ო. ა. კროტკოვა
ს. ს. დმიტრიევი

სამძიმარი ამხ. სტალინისა და მოლოტოვისაგან

ევგენია ალექსანდრეს-ასულ ტოლმაჩევას.
ტატიანა ალექსანდრეს-ასულ კარპინსკაიას.
ალექსანდრა ალექსანდრეს-ასულ ნეხოროშევას.

უდიდესი მსოფლიო მეცნიერის, მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტის 1916 წლიდან და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და სსრ კავშირის მშრომელებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გიცხადებენ თქვენ ღრმა თანაგრძნობას.

ვ. მოლოტოვი **ი. სტალინი**

◇ ◇ ◇

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიმართვა

საბჭოთა კავშირის მეცნიერ მუშაკებისადმი ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის გარდაცვალების გამო

(1847 წ. 7-I — 1936 წ. 15-VII)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემია იუწყება, რომ 14 ივლისს ღამით გარდაიცვალა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დიდი მსოფლიო მეცნიერი, ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური შეცნობის ფუძემდებელი, საბჭოთა გეოლოგიური სკოლის შემქმნელი და ხელმძღვანელი — აკადემიკოსი ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკი.

თავისი მრავალი წლის შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობით, ორგანიზატორული ტალანტითა და დიდი ადამიანის იშვიათი თვისებებით აკადემიკოსმა ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკიმ საბჭოთა გეოლოგია უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ სიმაღლეზე აიყვანა; მას ჩვენი ქვეყნის გეოლოგიური ისტორიის შეგნებაში გენიალური სიმარტივე და სიცხადე შეჰქონდა, ხიდს ჰქმნიდა პალეონთოლოგიის განყენებულ იდეებსა და სამთამადნო საქმის პრაქტიკულ საჭიროებათა შორის, ყოველთვის და ყველგან მაღლა სწევდა მსოფლიო მეცნიერებაში საბჭოთა გეოლოგის, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაუფლებისათვის მებრძოლის სახელს.

ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკიმ თავისი მეცნიერული მოღვაწეობის 50 წელზე მეტი გაატარა მეცნიერებათა აკადემიაში. იგი აკადემიკოსის სახელწოდებას ყოველთვის სთვლიდა უდიდეს პასუხსაგებ მოვალეობად, რომელსაც მას მეცნიერება და ჩვენი ქვეყანა აკისრებდნენ. 20 წლის განმავლობაში იგი იყო მისი პირველი არჩეული პრეზიდენტი, რომელიც მთელი თავისი მეცნიერული და პირადი ავტორიტეტით განამტკიცებდა აკადემიის როლს ჩვენი ქვეყნის ახალ სოციალისტურ მშენებლობაში.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკი უყოყმანოდ ჩადგა ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებში და ამით ხელი შეუწყო აკადემიას ახალ გზებზე გამოსულიყო.

მეცნიერებათა აკადემია, მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად, ჰგლოვობს იმ დანაკლისის გამო, რომელიც საბჭოთა მეცნიერებამ განიცადა. იგი პატივსა სცემს ალექსანდრე პეტრეს-ძეს, რომელმაც დიდი მეცნიერის, ახალი იდეებისა და ახალი მეცნიერული გზების შემქმნელის თავდაბლობა შეათავსა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის ღირსებასთან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემია მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მეცნიერ მუშაკებს მიჰბაძონ ამ მაგალითს მოქალაქისა და მეცნიერისას, რომელმაც თავისი ძალ-ღონე, თავისი აზრები და ენერგია მთლიანად მოახმარა სოციალიზმის ქვეყნის სამსახურს.

იგი მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ძალებს შემოკრბნენ იმ დიადი იდეების გარშემო, რომლებიც შეიტანა მსოფლიო მეცნიერებაში ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ და რომლებიც შეითვისა და ცხოვრებაში ატარებდა ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკი. დაე ამ ადამიანის სახე დარჩეს წამყვან მაგალითად ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

აკადემიკოსები: ვ. ლ. კომაროვი, ვ. ი. ვერნადსკი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, ი. მ. ვინოგრადოვი, ნ. პ. გორბუნოვი, ა. ვ. ვინტერი, ა. მ. დებორინი, ვ. პ. ვოლგინი, ა. ე. ფერსმანი, ბ. გ. გალიორკინი, ე. ვ. ბრიცკე, ი. ვ. გრებენშჩიკოვი, ა. ა. ბორისიაკი, ი. მ. გუბკინი, ნ. ი. ბუხარინი, ნ. ს. დერჟავინი, ს. ი. ვავილოვი, ნ. დ. ზელინსკი, ა. ნ. ფრუმკინი, ა. ფ. იოფე, ვ. ვ. ადორატსკი, ვ. ა. კისტიაკოვსკი, ვ. მ. ალექსეევი, ი. ი. კრაჩკოვსკი, ა. დ. არხანგელსკი, ა. ნ. კრილოვი, ა. ა. ბაიკოვი, ნ. ს. კურნაკოვი, ა. ნ. ბახი, პ. პ. ლაზარევი, ს. ნ. ბერნშტეინი, ნ. მ. ლუკინი ა. ა. ბოგომოლეცი, ლ. ი. მანდელშტამი, ნ. ი. ვავილოვი, ი. ი. მეშჩანინოვი, ბ. ე. ვედენეევი, ვ. ფ. მიტკევიჩი, ვ. რ. ვილიამსი, გ. ა. ნადსონი, ნ. ვ. ნასონოვი, ვ. ა. ობრუჩევი, ი. ა. ორბელი, ლ. ა. ორბელი, ა. ს. ორლოვი, ვ. ვ. ოსინსკი, ა. ე. პორაი — კოშიცი, ლ. ი. პრასოლოვი, დ. ნ. პრიანიშნიკოვი, ა. ა. რიხტერი, დ. ს. როჟდესტვენსკი, მ. ა. საველიევი, ა. ნ. სამოილოვიჩი, ა. ნ. სევერცოვი, ნ. ნ. სემიონოვი, ა. ა. სკოჩინსკი, ს. გ. სტრუმილინი, ა. მ. ტერპიგორიევი, ვ. ე. ტიშჩენკო, ნ. მ. ტულაიკოვი, ა. ე. ფავორსკი, ვ. გ. ფესენკოვი, ს. ა. ჩაპლიგინი, ა. ა. ჩერნიშევი, ვ. ი. შენფერი, ფ. ნ. შჩერბატსკოი, ო. ი. შმიდტი

◇ ◇ ◇

აკად. ა. პ. კარპინსკის ხსოვნას

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამგლოვიარო სხდომა.

მოსკოვი, 16 ივლისი. სსრ კავშირის აკადემია მგლოვიარეა. პრეზიდენტის გარდაცვალების ცნობის დილით მიღებისთანავე მეცნიერები თავს იყრიან აკადემიის შენობაში. სხდომის დარბაზში არიან აკადემიკოსები ფრუმკინი, ბრიცკე, დებორინი, ბორისიაკი, ფერსმანი, ო. ი. შმიდტი, გრებენშჩიკოვი, ადორატსკი, საველიევი, კურნაკოვი, ზელინსკი, ბახი, ნადსონი, კისტიაკოვსკი, კრილოვი, პრასოლოვი, გუბკინი, სემიონოვი, ბერნშტეინი, განსვენებულის მეგობრები და თანამოსამსახურენი.

აკადემიის პრეზიდენტის სავარძელი დაცარიელებულია. ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის პორტრეტი სამგლოვიარო ლენტებით შემკული დგას. თვითონ ის კი სხდომას ვეღარ ესწრება.

მწუხარებიანი სიტყვას ამბობს აკადემიკოსი კრჟიჟანოვსკი. ის ლაპარაკობს, რომ მსოფლიო მეცნიერებამ ა. პ. კარპინსკის სახით უდიდესი დანაკლისი განიცადა. განსაკუთრებით მძიმეა ეს დანაკლისი საბჭოთა კავშირისათვის.

გ. მ. კრჟიჟანოვსკი მოაგონებს დამსწრეთ განსვენებულის დიდ შრომით გზას. 70 წელს ეწეოდა ალექსანდრე პეტრეს-ძე სამეცნიერო მუშაობას. 50 წელს იგი იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრი და უკანასკნელ 20 წელს მისი პრეზიდენტი. კარპინსკი ჭეშმარიტად მსოფლიო მეცნიერი იყო, გეოლოგიის მეცნიერების ერთერთი კლასიკოსთაგანი. მეცნიერების ეს დარგი ჩვენს ქვეყანაში მან დაარსა. იგი გეოლოგთა არა ერთი თაობის მასწავლებელი იყო.

მისმა შესანიშნავმა ცხოვრებამ პატიოსნად და ჩირქმოუცხებლად განვლო. ალექსანდრე პეტრეს-ძემ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე თავისი ძალ-ღონე და ნიჭი ხალხის სამსახურს შესწირა. მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნის უდიდესი მუშაობა მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. და თავისი სიცოცხლის მიწურულში იგი ყველა ჩვენთვის მაგალითს წარმოადგენდა, — ამბობს გ. მ. კრჟიჟანოვსკი.

მრავალი წლის განმავლობაში შეინახავს ჩვენი ქვეყანა ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის ხსოვნას.

აკადემიკოს კრჟიჟანოვსკის სიტყვის დამთავრების შემდეგ ყველა დამსწრენი ფეხზე ადგომით პატივსა სცემენ დიდი მეცნიერის ხსოვნას.

მკვეთრი მოხსენებით გამოდის აკადემიკოსი ი. მ. გუბკინი. ის ხატავს ბრწყინვალე მეცნიერის, მსოფლიოს ერთერთი დიდი გეოლოგის სახეს. მთელი თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა კარპინსკიმ მეცნიერული აზროვნების განვითარებისაკენ მიმართა. თავისი მოღვაწეობა მან წარსული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო სამთომადნო ინსტიტუტში, სადაც იგი სწავლობდა. 30 წელს მეტს მუშაობდა ის ამ ინსტიტუტში და გეოლოგთა მრავალი თაობა აღზარდა.

განსვენებულის პირად მიმზიდველობაზე, უბრალოებასა და არაჩვეულებრივ შრომისუნარიანობაზე ლაპარაკობენ აკადემიკოსები ბორისიაკი და ფერსმანი. (ატს).

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 15 ივლისს უდღენში მოსკოვის მახლობლად გარდაიცვალა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მისი უცვლელი არჩეული პრეზიდენტის, უდიდესი მსოფლიო მეცნიერის, რუსეთის გეოლოგიის აღიარებული მამის

ალექსანდრე პეტრეს-ძე კარპინსკის

გარდაცვალებას,

რაც მოხდა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 15 ივლისს 1 საათსა და 50 წუთზე.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

ვ. ი. ლენინის ძეგლის შესახებ ქ. ტფილისში

ამ.-კ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 16 ივლისის დადგენილება

ქ. ტფილისში ვ. ი. ლენინისათვის დასადგმელი ძეგლის საჯარო კონკურსის პროექტთა განმხილველი და დამჯილდოვებელი ჟიურის დასკვნათა საფუძველზე, ა-კ სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. ჩაითვალოს, რომ არცერთი წარმოდგენილი პროექტი არ აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს.

სრულიად საკავშირო კონკურსისათვის წარმოდგენილი პროექტებიდან პირველი პრემია არცერთს არ მიესაჯოს.

2. მეორე პრემია 12.000 მანეთის ოდენობით მიესაჯოს პროექტს, რომელიც წარმოდგენილია დევიზით „წინ" (მოქანდაკე ამხ. თოფურიძეს).

მესამე პრემია 9.000 მანეთის ოდენობით მიესაჯოს თანაბრად პროექტებს, რომლებიც წარმოდგენილია დევიზებით „ტფილისი" (მოქანდაკე ამხ. მერაბიშვილს) და „ა-კ. ფედერაცია" (მოქანდაკე ამხ. თავაძეს)

3. მიენდოს მოქანდაკე ამხ. თოფურიძეს (რომელმაც მეორე პრემია მიიღო) სპეციალური ბრიგადის: მოქანდაკე ი. ნიკოლაძის და არქიტექტორების სევეროვის, ტერ-მიქელოვის, არხ. ქურდიანისა და შავიშვილის (ბრიგადის ხელმძღვანელი) მუდმივი პასუხისმგებელი კონსულტაციით, დაამუშაოს ქ. ტფილისში ვ. ი. ლენინისათვის დასადგმელი ძეგლის ახალი პროექტი იმ მითითებათა გათვალისწინებით, რომლებიც მათ მისცეს ჟიურიმ და ა-კ სახკომსაბჭოს მთავრობისეულმა კომისიამ, იმ ანგარიშით, რომ ძეგლის პროექტი (მაკეტი) ა-კ სახკომსაბჭოს მთავრობისეულ კომისიას წარედგინოს არა უგვიანეს ა-წ. 1 დეკემბრისა.

4. მიენდოს ამხ. პ. ალნიაშვილსა და ნიორაძეს მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიონ ამ დადგენილების შესრულების მსვლელობას.

ა-კ სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მუსაბეკოვი

ა-კ. სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. ვარძიელი.

◇ ◇ ◇

რეიტერის სააგენტო ინგლისის პოლიტიკის შესახებ ლოკარნოს საკითხში

ლონდონი, 15 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „საფრანგეთის ელჩი კორბენი დღეს დილით ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ ამხანაგს ვანსიტარტს. რეიტერის ცნობით შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ პარიზიდან მიღებული ცნობების სისწორეში იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაჟინებით ითხოვოს, რათა 22 ივლისს მოხდეს სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა ლოკარნოს საკითხის განსახილველად.

აღნიშნავენ, რომ ასეთმა შეხვედრამ შეიძლება ერთადერთ შედეგად მოგვცეს ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის სოლიდარობის დადასტურება ახალი იტალია-გერმანიის ანტანტის წინაშე. ასეთი პოლიტიკა სავსებით ეთანხმება იმ პოზიციას, რომელსაც საფრანგეთი ავსტრია-გერმანიის შეთანხმების გამოქვეყნებამდე დაადგა. ეტყობა, ინგლისს ორი შესაძლებლობა აქვს: 1) მიიღოს საფრანგეთის თვალსაზრისი და ელოდოს საფრანგეთისა და ბელგიის თხოვნას, რათა ინგლისმა მისცეს მათ გარანტია გამოუწვეველი აგრესიის შემთხვევისათვის, 1935 წლის მარტში საფრანგეთის მისამართით გაგზავნილი წერილების შესაბამისად და 2) უარჰყოს საფრანგეთის თხოვნა, შეეცადოს მოიწვიოს ხუთი სახელმწიფოს კონფერენცია და ამრიგად ღიად დასტოვოს ამ კონფერენციაზე გერმანიისა და საფრანგეთის ერთად მონაწილეობის შესაძლებლობა". (ადს).

□ □ □

ჩან-კაი-შის ბრძანება სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფებათა წინააღმდეგ

ტოკიო, 15 ივლისი. დომეი ცუსინის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტის ცნობით, ჩან-კაი-შიმ უბრძანა ნანკინის ჯარებს დაიძრან სამხრეთისაკენ იმ საბაბით, რომ სამხრეთ-დასავლეთის ხელისუფალნი უარს ამბობენ დაემორჩილონ გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. გუანსის ჯარების სარდალმა ლი ცუნ-ჟენმა პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს 14 ივლისს ის აზრი გამოსთქვა, რომ უახლოეს ათ დღეში გარდუვალია დიდი შეტაკება, ერთი მხრივ, ნანკინის ჯარებსა, ხოლო მეორე მხრივ — გუანდუნისა და გუანსის ჯარებს შორის. ლი ცუნ-ჟენმა ხაზი გაუსვა, რომ „ჩენ ცზი-ტანმა მტკიცედ გადასწყვიტა უკანასკნელ მომენტამდე იბრძოლოს ჩან კაი-შის ზემოქმედების წინააღმდეგ და ამ საქმეში მჭიდროდ ითანამშრომლოს გუანსის ჯგუფთან".

შემდეგ კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ — ჩენ ცზი-ტანმა და გუანდუნის არმიის სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებმა 14 ივლისს ტელეგრაფით აუწყეს ჩან კაი-შის, რომ ისინი კატეგორიულად უარს ამბობენ შეასრულონ მისი თხოვნა ახლანდელი კონფლიქტის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმზე ჩამოსვლის შესახებ. (ადს).

○ ◇ ○

ამერიკა-ჩინეთის შეთანხმება

ტოკიო, 15 ივლისი. გაზეთ „ნიჩი-ნიჩის" შანხაელი კორესპონდენტი ადასტურებს, რომ 11 ივლისს შანხაიში დაბრუნდა შანხაის ბანკის დირექტორი ჩენ გუან-ფუ, რომელმაც ნახევარი წელი დაჰყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. გუან-ფუმ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან დასდო ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიანი კრედიტის მიცემას ჩინეთისათვის, რათა მან ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძინოს თვითმფრინავები, ავტომობილები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. „ამ შეთანხმების საიდუმლო პუნქტები, — განაგრძობს კორესპონდენტი, — ითვალისწინებს დიდძალი ამერიკული იარაღის მიწოდებას ჩინეთისათვის, რათა დახმარება გაუწიონ ჩინეთს სახელმწიფო თავდაცვის გაძლიერების გეგმების განხორციელებაში (ადს).

—○—

ინსტრუქციები პოლონეთის გენერალურ კომისარს დანციგში

პარიზი, 15 ივლისი. „პტი პარიზიენის" ვარშაველი კორესპონდენტი „კერძო წყაროებიდან" გადმოგვცემს იმ ინსტრუქციათა შინაარსს, რომლებიც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა მისცა პოლონეთის გენერალურ კომისარს დანციგში პაპეს დანციგის სენატთან (მთავრობასთან) მოლაპარაკების საწარმოებლად. ბეკი ამ ინსტრუქციებში თითქოს აღნიშნავს, რომ სენატის დავა ოპოზიციასთან დანციგის საშინაო პოლიტიკას ეკუთვნის. პოლონეთის მთავრობას განზრახვა არა აქვს წინ აღუდგეს „ბელადობის პრინციპზე" დამყარებული რეჟიმის დაწესებას დანციგში (სხვანაირად რომ ითქვას, ყველა ოპოზიციური პარტიის საბოლოო აკრძალვას) იმ პირობით, რომ ამან პოლონეთის ინტერესები არ შელახოს. პოლონეთის მთავრობა არ დაიწყებს იმ საკითხის განხილვას, რომელიც ეხება პოლონეთის ქვეშევრდომთა უფლებებსა და პრივილეგიებს დანციგში, აგრეთვე პოლონეთის საკუთრების მდგომარეობას. იგი არც დანციგის თავისუფალი ქალაქის საერთაშორისო სტატუტს განიხილავს. საშინაო პოლიტიკის საკითხებში დათმობათა სამაგიეროდ პოლონეთი მოითხოვს კომპრომისს დანციგის ფოსტის, ნავსადგურისა და საემისიო ბანკის კონტროლის საქმეში.

„ექსცელსიორის" ცნობებით, ვარშავას სურს მიაღწიოს იმას, რომ თავისუფალი ქალაქის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნას პოლონეთის პოლიცია. გარდა ამისა, იგი ცდილობს მიიღოს ვეტოს უფლება დანციგის სენატის თავმჯდომარის არჩევისას. (ადს).

სომხეთის კომკავშირის აქტივის კრებები

ერევანი, 16 ივლისი. 14 ივლისს ერევანში შესდგა კომკავშირის აქტივის რაიონული კრებები. რაიონულ კრებებზე მოისმინეს საინფორმაციო მოხსენებანი სომხეთის კ. პ (ბ) ც. კ-ის ყოფილი მდივნის ა. ხანჯიანის თვითმკვლელობის გარემოებათა შესახებ.

სტალინის რაიონის აქტივის კრებაზე ამის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ცატუროვმა, კიროვის რაიონის კრებაზე — რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ვარდაპეტიანმა.

კომკავშირის აქტივის კრებები შესდგა აგრეთვე ელარშაპატსა და კიროვაკანში.

სთვლიან რა თვითმკვლელობის აქტს სულმოკლეობის გამოხატულებად და პარტიის წევრთა მაღალი სახელწოდების ჩირქისმომცხებ ნაბიჯად, კომკავშირის აქტივის კრებებმა მკაცრად დაჰგმეს ხანჯიანის საქციელი, რომელსაც არ გააჩნდა გამბედაობა გამოესწორებინა მის მიერ დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები, მიმართა თვითმკვლელობის გამცემლურ აქტს და ამით საზრდო მისცა ჩვენს დაუძინებელ მტრებს.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში აქტივის კრებები სიტყვას იძლევიან, რომ კომკავშირი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ჩვენი პარტიის გარშემო, საქ. კ. პ (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის გარშემო, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფის — ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით, მაღლა დაიჭერს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას და აღზრდის ჩვენი დიადი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ, მამაც და თავგამოდებულ სტალინელ არწივთა თაობას, რომლისთვისაც უცხოა სულმოკლეობა და სასოწარკვეთილება და რომელიც თავისი უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისა, კომუნიზმის საქმისა (ადს).

◇

შეტაკება ინგლისის ჯარებსა და არაბებს შორის

ლონდონი, 15 ივლისი. დღეს დილით იერუსალიმიდან ჩრდილოეთით 225 კილომეტრის მანძილზე მოხდა შეტაკება ინგლისის ჯარებსა და არაბებს შორის. შეტაკების დროს დაიჭრა ორი ინგლისელი ოფიცერი (ადს).

◇

ალო! ლაპარაკობს მოსკოვი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მასობრივი დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტის საშუალებით აწყობს რადიო-გადაცემას: 17 ივლისს — რადეკის მოხსენება ბურჟუაზიული და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ, 19 ივლისს — ამხ. სტეცკის მოხსენება „ახალი საბჭოთა კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურა". მოხსენებები გადმოიცემა 21 საათზე მოსკოვის დროით. მოემზადეთ ამ დროისათვის, გამოიყენეთ ყველა რადიოწერტი, რადიოაუდიტორია და მოაწყეთ მასობრივი რადიომოსმენა.

○ ◇ ○

სასკოლო მშენებლობა

(10 ივლისისათვის)

საქართველოს ქალაქებში სასკოლო მშენებლობა 10 ივლისისათვის განსახკომის ცნობით ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათომში (განსახკომი ამხ. ქათამაძე) 400 მოწაფისადგილიანი სკოლის შენობა მზად იყო 80 პროცენტით, კალენდარული გეგმის მიხედვით მზად უნდა ყოფილიყო 90 პროცენტით. მეორე სკოლის შენობა მზად იყო 81 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 90,5 პროცენტით. ამ სკოლების მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. ნადარეიშვილი.

სოხუმში (განსახკომი ამხ. ზანთარია) 400 მოწაფისადგილიანი სკოლის შენობა (აგებს ინჟ. ჩინკინი) მზად იყო 66,2 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 81 პროცენტით.

ოჩამჩირის სკოლის შენობა (აგებს ამხ. ქუთათელაძე) მზად იყო 69,5 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 84 პროცენტით.

სტალინირის (განსახკომი ამხ. კულაევი) სკოლის შენობა მზად იყო 76 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 96 პროცენტით. სკოლას აგებს ინჟ. ცუცქირიძე.

ქუთაისის (გან. განყ. გამგე ამხ. რუსიძე) 88 მოწაფისადგილიანი სკოლის შენობა მზად იყო 63 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 87 პროცენტით. მეორე სკოლის შენობა მზად იყო 71 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 85 პროცენტით. ამ სკოლებს აგებს ამხ. ჭოძენიძე.

ტფილისში (განათლ. განყ. გამგე ამხ. ქ. ქაცარავა):

1) საბურთალოს სკოლის შენობა (აგებს ინჟ. დონდუა) მზად იყო 72,6 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 80 პროცენტით.

2) მნათობის ქ. სკოლის შენობა (აგებს ინჟ. ცარახოვი) მზად იყო 62 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 79.8 პროცენტით.

3) ბრძოლის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ფარცვანია) მზად იყო 56,88 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 74,44 პროც.

4) საწყობო კოოპერაციის ქ. სკოლის შენობა (აგებს ინჟ. ბაქრაძე) მზად იყო 52,9 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 68,9 პროცენტით.

5) კაზბეგოვის ქ. სკოლის შენობა (აგებს ინჟ. ულუხანოვი) მზად იყო 67,3 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 80,2 პროცენტით.

6) გერმანელების ქ. სკოლის შენობა (აგებს ინჟ. ულუხანოვი) მზად იყო 56,5 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 77 პროცენტით.

7) ახალშენის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. კევლიშვილი) მზად იყო 93,3 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 92,5 პროცენტით.

8) ნინოშვილის ქ. სკოლის შენობა (ინჟ. ქუთათელაძე), მზად იყო 92,34 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 89,6 პროცენტით.

ამგვარად საქართველოს ქალაქების (ტფილისის გამოკლებით) სკოლების საშუალო ტექნიკური მზადყოფნა 10 ივლისისათვის უდრის 71,5 პროც., ტფილისის სკოლებისა კი — 66,1 პროცენტს.

სამეურნეო ორგანოების სკოლები.

მოლიბდენის სკოლის (ინჟ. ციხელაშვილი) შენობა 21 ივნისისათვის მზად იყო 10 პროცენტით. კალენდარული გეგმით 10 ივლისისათვის მზად უნდა ყოფილიყო 61 პროცენტით.

ინგურქაღალდმშენის სკოლის (ინჟ. ვიქტოროვი) შენობა 10 ივლისისათვის მზად იყო 59,7 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 75 პროც.

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხნის სკოლა (ინჟ. ნიჟარაძე) მზად იყო 71 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 70,7 პროცენტით.

ტფილისის ღრმა-ღელის სატრიკოტაჟო კომბინატის სკოლა (ინჟ. კონტრიძე) მზად იყო 72, პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 85 პროცენტით.

წილკნის კიროვის სახელობის ქარხნის სკოლა (ინჟ. კუზმინი) მზად იყო 58,3 პროც., მზად უნდა ყოფილიყო 78 პროცენტით.

საინჟინრო ქ. ხრამჰესის სკოლის შენობა მზად იყო 65 პროცენტით, მზად უნდა ყოფილიყო 72 პროცენტით (სკოლას აგებს ჩხეიძე).

ამერიკელი ასტრონომები აბასთუმნის ობსერვატორიაში

ამერიკელ ასტრონომთა ჯგუფი აბასთუმნის ობსერვატორიაში. ზევით შუაში ზის დოქტორი მენცელი.

აბასთუმანში რამდენიმე დღე დაჰყო ამერიკელ ასტრონომთა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა ჰარვარდის ობსერვატორიის პროფესორი, ცნობილი ასტრონომი, დოქტორი დონალდ მენცელი. ამერიკელი ასტრონომები მენცელის მეთაურობით ჩამოსულნი იყვნენ საბჭოთა კავშირში 19 ივნისის მზის დაბნელებაზე დაკვირვების საწარმოებლად და მუშაობდნენ აკბულაკში.

ამერიკელ ასტრონომთა ჯგუფმა დაათვალიერა ობსერვატორია, მისი მშენებლობა და გაეცნო მის მუშაობას და გეგმებს. სტუმრები ერთხმად აღნიშნავდნენ აბასთუმნის ობსერვატორიის მშვენიერ მდებარეობას და წამოწყებული მუშაობის მნიშვნელობას. სპეციალურად გამართულ სამეცნიერო თათბირზე განხილული პროგრამა მათ ძალიან მოიწონეს. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ საკითხში მათ შეუძლიათ ბევრი საინტერესო და სასარგებლო იპოვონ აბასთუმნის ობსერვატორიის მუშაობის გაცნობით.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯგუფის მეთაური დოქტორი დ. მენცელი, რომელიც სამი თვის განმავლობაში გამუდმებით მოგზაურობდა ჯგუფთან ერთად, ჩამორჩა უკანასკნელს და ზედმეტი დღეები დაჰყო აბასთუმანში, რათა დაწვრილებით გასცნობოდა ობსერვატორიის მუშაობას.

ობსერვატორიაში მოეწყო სამეცნიერო სემინარი, რომელზედაც, ერთის მხრივ, მენცელმა გააკეთა მოხსენებანი თავის უკანასკნელ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ გამოკვლევათა შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, მოსმენილ იქნა ობსერვატორიის თანამშრომელთა მოხსენებანი თავიანთი შრომების შესახებ. სემინარმა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რამაც სამ დღეს გასტანა (ხუთი სხდომა).

6 ივლისს, ღამით მენცელმა მოახდინა დაკვირვებანი ცაზე და მოიწონა ვარსკვლავების გამოსახულება და გამჭვირვალობა.

წასვლისას მენცელმა სურვილი გამოსთქვა რომ 1938 წელს როდესაც იგი ევროპაში იქნება ასტრონომთა საერთაშორისო კონგრესზე, ისარგებლოს შემთხვევით და ერთი 1 თვე დაჰყოს აბასთუმანში, სადაც წაიკითხავს ლექციების სერიას, მზის ფიზიკის ზოგიერთი პრობლემის შესახებ.

მენცელმა აღნიშნა, თუ როგორ უყვარს და აფასებს მას მეცნიერებისა და კერძოდ ასტრონომიის პროგრესი საბჭოთა კავშირში, ხელისუფლების ზრუნვა და დახმარება სამეცნიერო მუშაობის გაშლისათვის.

„ასეთ პირობებში — სთქვა მენცელმა, — ვფიქრობ, რამდენიმე წლისთავში აბასთუმნის ობსერვატორია მოწინავე ობსერვატორიად გადაიქცევა".

დოქტორი მენცელი აბასთუმნის ობსერვატორიის შესახებ

ჩვენ აბასთუმანში ჩამოვედით, რათა გაგვეცნო ობსერვატორია და გაგვეზიარებინა მისი თანამშრომლებისათვის ჩვენი აზრი.

მე მრავალი ობსერვატორია მინახავს როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებში, მაგრამ არსად არ შემხვედრია ისეთი მშვენიერი ადგილი ობსერვატორიისათვის, როგორიც კანობილის პლატოზეა, სადაც ამჟამად ახალი ობსერვატორია შენდება.

ამ ახალი სამეცნიერო დაწესებულების პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკელებისთვისაც კი, და ითვალისწინებს დიდი რეფლექტორის აგებას. ეს რეფლექტორი თავისი სიდიდით ეთანაბრება ამერიკის „მოუნტ ვილსონის" ობსერვატორიის რეფლექტორს, რომელიც ამჟამად უდიდესია მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ძალიან გულთბილად მიგვიღეს.

თუმცა აბასთუმნის ობსერვატორია ჯერ კიდევ ახალგაზრდა დაწესებულებაა, მაგრამ ახლავე შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ახლო მომავალში ის ერთერთ წამყვან ობსერვატორიად გახდება მსოფლიოში.

დირექტორი ხარაძე, რომლის ახალგაზრდობა დამახასიათებელია საბჭოთა კავშირის მრავალი გამოჩენილი ადამიანისათვის, ენერგიულად ხელმძღვანელობს ობსერვატორიას; მე ვფიქრობ, აბასთუმნის ობსერვატორიის სამეცნიერო მუშაობა მიაღწევს იმ დონემდე, რომ მისაბაძი გახდება ყველა სხვა ობსერვატორიის ასტრონომებისათვის.

ყველა ჩვენგანს უძნელდებოდა ამ მშვენიერი ადგილიდან წასვლა, რაც შემეხება მე, ახლო მომავალში ვფიქრობ კვლავ დავბრუნდე აბასთუმანში, რათა საკუთარი თვალით ვნახო მიღწეული შედეგები და მომეცეს საშუალება ობსერვატორიის მუშაკებთან საუბრისა სხვადასხვა სამეცნიერო თემებზე.

საბჭოთა კავშირის და ამერიკის სამეცნიერო მუშაკთა თანამშრომლობა არა მარტო აჩქარებს მეცნიერების პროგრესს, არამედ ამას გარდა ხელს უწყობს ორივე ჩვენი დიდი ქვეყნის მეგობრული კავშირის გაძლიერებას.

დონალდ მენცელი.

აბასთუმანი, ჰარვარდის ექსპედიციის ხელმძღვანელი.

—◇—

ამხ. პ. პ. თათეოსიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი

თათეოსიანს შეუსრულდა სასცენო მოღვაწეობის 30 წლის თავი, რომლის აღსანიშნავი საღამო გაიმართება 17 ივლისს ამხ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში.

პაველ პეტრეს-ძე თათეოსიანი დაიბადა 1887 წელს ქალაქ ახალციხეში, მჭედლის ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ, რვა წლისა მიაბარეს გასტრონომიულ მაღაზიაში ხელზე მოსამსახურედ. სამი წლის შემდეგ მისი ოჯახი გადმოვიდა ტფილისში, სადაც ახალგაზრდა თათეოსიანი სამუშაოდ იწყებს საზენკლო სახელოსნოში. აქედან ის ხელახლა გადადის გასტრონომიულ მაღაზიაში. 1902 წელს პირველად ეცნობა სცენას, ნახა წარმოდგენა „დე და შმა" და იმ დღიდან ხდება თეატრის თაყვანისმცემელი.

რამდენჯერმე სცენისმოყვარედ გამოსვლის შემდეგ 1905 წლიდან სისტემატიურად იწყებს მუშაობას ავჭალისა და ავლაბრის მუშათა აუდიტორიებში. რამდენიმე წლის შემდეგ პ. თათეოსიანი თავის ახალგაზრდა დასით თამაშობს ტფილისის მიდამოებში — ორთაჭალაში და სხვაგან.

თავისი მომზადების დონის ამაღლების მიზნით თათეოსიანი მიემგზავრება ხარკოვში, სადაც მატერიალურ დახმარებას იღებს პროფესორ ა. ნ. კრასნოვისაგან, რომელმაც ის მოაწყო [illegible] კურსებზე.

შემდეგ პ. თათეოსიანი მიემგზავრება ქ. ოდესაში. შედის ფაბრიკაში მუშად და იმავე დროს ღებულობს გაკვეთილებს მსახიობ პაველენსკისაგან. 1914 წლის დასაწყისში თათეოსიანი მიემგზავრება მოსკოვში, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო ბრუნდება ჯერ როსტოვში და შემდეგ ბაქოში, სადაც მართავს წარმოდგენებს და მუშაობს სომეხთა დრამატულ საზოგადოებაში. 1919 წელს გადმოდის ტფილისში და შედის მსახიობ ვოსკანიანის დასში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პ. თათეოსიანს ირჩევენ სომხური სახალხო თეატრის ადგილკომად. 1923 წელს ინიშნება „მუშკოოპთან" არსებული დრამწრის რეჟისორად და იმავე დროს თამაშობს ტფილისის სხვადასხვა კლუბების სცენაზე. ამჟამად იგი მუშაობს ნარიმანოვის და მიასნიკოვის სახელობის მუშათა კლუბებში.

—○—

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს გასწორება

„კომუნისტი"-ს 16 ივლისის ნომერში პირველი გვერდის მე-3 სვეტზე მოთავსებულ ცნობაში „აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) აქტივის კრება", მე-8 აბზაცის ბოლოში გამოტოვებულია კრებაზე გამოსულ აზერბეიჯანის კომ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ბ. [illegible] გვარი.

ამავე ცნობაში უკანასკნელი აბზაცის წინ გამოტოვებულია შემდეგი აბზაცი:

„აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. [illegible] გაახვილა აქტივის ყურადღება აზერბ

„შვიდწლედის პროგრამის ფარგლებში, დედაენასა, მათემატიკასა, ფიზიკასა და ქიმიაში.

ა 10 აგვისტომდე. განცხადებასა და შემო

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთე

ს დამთავრებისა, 2) წლოვანებისა, 3) ჯან

ოდ.

ტოს ტექნიკუმის შენობაში, შიო ჩიტაძის

ტყობინება შემდეგი მისამართით: ტფილისი,

ირექტორს.

ტის დირექტორი შ. კვანტრიშვილი.

სკოლა ორწლიანია და ამზადებს

და ქალის ტანსაცმლის მკერავებს).

ველო ფაბრიკებში, რის შემდეგ უფლ

ბიდან მოუწყვეტლივ ამავე სკოლასთა

დებასთან ერთად წარმოდგენილ უნდ

სრულ საშუალო სკოლის დამთავრებ

ტოგრაფიული სურათი შემსვლელის

ბიერ შემოწმებული, პასპორტი (წარმ

განცხადებები მიიღება 1-ლ ივლ

1 ლ ოქტომბერს.

მიღებულნი უზრუნველყოფილი იდაბრუნების დროს მყიდველმა თან

თამდე, საჭიროების მიხედვით საერთო ლითი და საპარიკმახეროთი.

სკოლის მისამართი—ტფილის

მრეწველობის უალკო-

იმონათის) ქარხანა

[illegible], რომ მათ მიერ ბეს

უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში,

როგორიც არის სტანდარტუ

სხვა, აღარ მიიღებს და არც ბეს

მიღების ფაქტურა. ეს წესი

25 ივლისიდან და არავითარი

ლებული არ იქნება.

რექტორი ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე.

საკინემატოგრაფიო თეატრები		
	ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	მხატვ. ფილმი „განწირულნი" მე 2 სერია ვ. ჰიუგოს ნაწარმ. მიხედვით.
	დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობ. „მექსიკელი დიპლომატები" საზამთ. „მებრძოლნი და ხიმერები"
	კომკავშირელი საზ.საზამ 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობ. ხმოვ. ფილმი „ცხარე დღეები" საზამთ. „ერთ ზაფხულს"
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი კომედია „პ ე პ ო"
	საზაფხ. ე თ ე რ ი 9 ს. 11 საათ.	უკანასკნელი დღე ხმოვ. სურ. „ც ი რ კ ი"
	26 კომუნ. სახ.	საზაფხ.—ხმ. ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები" საზამთ.—„უკანასკნელი მილიარდერი"
	კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი ფილმი „გემის გზა"

ქ. ტფილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს
უფროსი აღმასრულებელი ვ. პ. ჯ ა ნ ა შ ი ა
ამით აცხადებს, რომ ა-წ 22 ივლისს დილით 12 საათზე ტფილისში, საბჭოს ქ. № 59,

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

ამბროლაურის ალმასკომის სამრეწველო კომბინატის ქვემოჩამოთვლილ ქონებას: **ღვინო ხვანჭკარა სხვადასხვა ზომის კასრებში 12713 ლიტრი, ცარიელი 60-ვედრიანი და სხვადასხვა ზომის კასრები 18 ცალი.**

ზემოაღნიშნული ღვინო და კასრები შეფასებულია 14424 მანეთად და გაიყიდება საქართველოს სარეწაო სატყეო კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ 1934 წ. 20 მაისს № 1/386 გაცემული ბრძანებისა. 15338

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის კონცერტი

მრავალფეროვანი და მდიდარია ქართული ხალხური სიმღერა. ყოველ კუთხეს ღრმა თავისებურობა ახასიათებს. გურული, მეგრული, ფშაური, იმერული, რაჭული, ქართლ-კახური სიმღერები თავისი მელოდიურობით და ჰარმონიული წყობით საყოველთაო ყურადღებას იპყრობენ.

მგრძნობიარე, მოქნილი და ინტონაციებით აღსავსეა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები. აქ ქართლის გაშლილ ველებზე და კახეთის უხვი ბუნების კალთებზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო მშვენიერი „გუთნური", „ურმული", „ოროველა", „მრავალჟამიერი", ნაზი და გულითბილი „ზამთარი", მტკვარივით მოდუდუნე „ტიური". მწარე წარსულში უთვალავ მტრებისაგან განაწამებ, მუდამ საომარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს შეეძლო შეექმნა გმირული, ბრძოლისაკენ მომწოდებელი, სიმამაცის და ვაჟკაცობის აღმძვრელი „არაგველი ლაშქრული":

ქალებს გაუბამთ ფერხული
და გასძახიან არაგვსა!
არაგვო, უყარაულე
ომში მიმავალ ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჰამე შერცხვენილს,
რომ სახლში ველარ მივიდეს.

სიმღერა და ცეკვა თან სდევდა ხალხს ბრძოლასა და შრომაში, უადვილებდა მძიმე ხვედრს, ამხნევებდა ახალგაზრდებს. მძიმე წუთებში სიმღერა იყო მშრომელთა ერთადერთი ნუგეში, დარდის და ვარამის გამქარვებელი. ამიტომ ასეთი სევდიანია ხალხის მრავალი სიმღერა, გულის სიღრმიდან ამონახეთქი, გულითბილი და მწუხარე. მხოლოდ ყმა—გლეხების უსაზღვრო ჩაგვრის, მათდამი არაადამიანური მოპყრობის ნიადაგზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო სიმღერა „ბერიკაცი ვარ", სადაც მოხუცი გლეხი ევედრება ბატონს — „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ, ყველა დაგიწყებს გმობასა, გაგწირავს მთელი ქვეყანა, არავინ გიზამს ძმობასა".

აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერების ერთერთი შესანიშნავი თვისებაა მისი ემოციური სიძლიერე, გულში ჩაწვდომის უნარი, აქედან ინტონაციების სიმდიდრე და მოქნილობა. თავისი ბუნებით ეპიკური სიმღერა მრავალფეროვან ინტონაციებს გამოჰყოფს — დაწყებული უნაზესი ლირიკით და გათავებული თხრობის დრამატული დაძაბულობით. სასიმღერო მელოდიის ეს განსაკუთრებული მგრძნობიარობა საშუალებას იძლევა გამჭვირვალე მუსიკალური ძაფებით იქსოვოს მოხაზული ლექსის შინაარსი, რის შედეგადაც მუსიკა და პოეტური მეტყველება ავსებენ ერთმანეთს, ჰარმონიულად უერთდებიან ერთიმეორეს.

სიმღერის მელოდიური ხაზების მოქნილობა, მისი მგრძნობიარობა, დრამატული ფრაზირების შესაძლებლობა (სიმღერის თეატრალიზაცია), სასიმღერო თემატიკის მრავალფეროვნება კარგად არის ხაზგასმული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით არსებულ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის შესრულებაში. სანდრო კავსაძე ცდილობს შეინარჩუნოს ხალხურ სიმღერის თავისი [illegible] შესრულების დროს იყენებს ევროპული მუსიკის ხერხებს. აქედან - სიმღერების ერთგვარი სტილიზაცია. ეს სტილიზაცია ზოგჯერ ზედმეტად იჩენს თავს, ისე რომ შედეგად ზოგიერთმა სიმღერამ დაჰკარგა თავისი ელფერი („ბერიკაცი ვარ"). გუნდმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

საჩვენებელ კონცერტზე, რომელიც გაიმართა სახ. ოპერაში 14 ივლისს, შესრულებული იყო ოცი სიმღერა. მათ შორის განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა კახურმა მრავალჟამიერმა, არაგველმა ლაშქრულმა, ხალხურმა იუმორისტულმა სიმღერებმა „აღარ მწადიან ცხვარშიო" და „ცოლი გამიდიდგულდა". შესანიშნავი ოსტატობით იყო შესრულებული პოპულარული „ზამთარი" და იშვიათად ლამაზი სიმღერა „მეტიური". ტკბილად მოდუდუნე ბანების ფონზე ზარივით რეკავდა მგ. კავსაძეების წკრიალა ტენორი და გული აღგზნებით მღეროდა:

სატივზე ტივი შევკარ,
ტივი იყო ნაძვის ხისა,
ორთავ ყურები მოვაბი —
მოსახმელი იყო წყლისა.
... მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერ გავახარე ცოლშვილი,
ვერც მოვილხინე ტოლშია.

რამდენადაც შეუძლებელია გადაიქცეს მომღერალთა გუნდს აუცილებლად თავკერძ მოცეკვავეთა ანსამბლი, ვერც ს. კავსაძის გუნდი ასცდა ამ ტრადიციას. ის, რაც ჩვენ ვნახეთ საჩვენებელ კონცერტზე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამართლებს გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფის არსებობას. უსიცოცხლო, ტექნიკურად სუსტი ცეკვა არავისთვის არ არის საინტერესო.

გუნდი რამდენიმე თვეა, რაც არსებობს. მხოლოდ ამით შეიძლება გავამართლოთ მისი რეპერტუარის შეზღუდულობა. ჯერჯერობით პროგრამაში მხოლოდ ძველი ხალხური სიმღერები, ისიც მცირე ნაწილი იქნება, რაც შეგროვილი და ჩაწერილია (არ ჩანს ისეთი ცნობილი სიმღერები, როგორიც არის „ურმული", „გუთნური", „ოროველა", კახური სუფრული, მგზავრული, ხალხური და სხვ.).

უდავოა, სანდრო კავსაძე ხალხური სიმღერის დიდი ოსტატია. გუნდის პირველმა კონცერტმა ეს თვალნათლივ დაამტკიცა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი კიდევ ახალ მწვერვალებს დაიპყრობს ხალხური მუსიკალური შემოქმედების დაუფლების საქმეში.

შ. ბუაჩიძე.

○

დღეს, 17 ივლისს, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით აწყობს თავის მესამე კონცერტს.

კონცერტი გაიმართება პლეხანოვის სახელობის კლუბში.

—○—

ბოროტმოქმედთა ბრბოს შეპყრობა

14 აპრილს ღამით სადგურ ნავთლუღიდან 5 კილომეტრის დაშორებით მინდორში იპოვეს ორი ახალგაზრდა ქალის გვამი. ორივე გვამს კისრის არეში ჰქონდა დანის ღრმა ჭრილობა. იმავე დღეს მოკლულებში იცნეს განსაზღვრული პროფესიის არმქონე რ. დორონცევა და ნ. ლეცენკო, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდნენ რუსეთიდან.

საქართველოს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის განყოფილებამ მიიღო ენერგიული ზომები მკვლელების აღმოსაჩენად. წარმოებული კვლევაძიებით დადასტურდა, რომ ტფილისში თავს აფარებს ბოროტმოქმედთა ბრბო, რომელიც ქალაქში ახდენს ქურდობას და ჩადის სხვა ბოროტმოქმედებას. ბოროტმოქმედთა ამავე ჯგუფმა მოკლა მხეცურად დორონცევა და ლეცენკო. შემდეგში აგრეთვე დადასტურდა, რომ ბრბოს თავშესაფარ ადგილს წარმოადგენდა ლ. ი. ქოფოვის ბინა (პაველოვის ქუჩა № 5). 19 აპრილს ღამით სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა მოახდინეს ქოფოვის თავშესაფარის ლიკვიდაცია, რომელშიაც დააპატიმრეს ოთხი ბოროტმოქმედი. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა ბრბოს მეთაური ლ. ბ. კუკულდავა და ერთერთი მისი თანამონაწილე ა. ა. ჩესკო. უკანასკნელმა დაპატიმრების დროს წინააღმდეგობა გაუწია სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებს და შეეცადა ფინური დანით დაეჭრა ისინი. შემდეგი კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ კუკულდავამ და მისი ბრბოს ერთ-ერთმა წევრმა გ. გ. გუტრქოემ, რომელთაც ბინძური ანგარიშები ჰქონდათ დორონცევასთან და ლეცენკოსთან, გადაწყვიტეს შური ეძიათ მათზე. ამ მიზნით 13 აპრილს საღამოს კუკულდავამ და გუტრქოემ მიიწვიეს დორონცევა და ლეცენკო თითქოს გასასეირნებლად და ტრამვაით მიიყვანეს სადგურ ნავთლუღამდე, ხოლო შემდეგ ფეხით გაიარეს კიდევ რამდენიმე კილომეტრი და მინდორში მხეცურად დაჰკლეს ორივე ქალი. დაპატიმრებისას კუკულდავას აღმოაჩნდა მოკლულ ლეცენკოს საფულე. მაისის ბოლო რიცხვებში დააპატიმრეს გუტრქოე, ხოლო შემდეგ მალე შეიპყრეს ბრბოს დანარჩენი წევრები გ. გ. მაილოვი, და ს. მ. გრიგორიანი. გამოძიების პროცესში აგრეთვე დადასტურდა, რომ ამავე ბრბომ მიმდინარე წლის 14 თებერვალს ღამით რკინიგზის ხიდის რაიონში (საბჭოს ქუჩაზე) მტკვრის ნაპირზე მოკლა მათი ყოფილი თანამონაწილე ნ. გ. ფალავანდიშვილი.

ბრბოს უშუალო მონაწილეთა გარდა ამ საქმის გამო პასუხისგებაში არიან მიცემული აგრეთვე ი. ლ. გრაბოვეცკი (ოსტროვსკის ქ. № 6) და მ. გ. ვართანოვა (დავითაშვილის ქ. №9), რომელთაც ბრალდებათ დორონცევას და ლეცენკოს გაპატიურება მათი მოკვლის რამდენიმე დღით ადრე. გამოძიება ბოროტმოქმედთა ბრბოს საქმის ირგვლივ დამთავრებულია და გადაეცემა საქართველოს პროკურატურას.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია პარტისტორიის ძირითადი თემების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის „სამოქალაქო ომის ისტორიის" გამოყენების შესახებ თემისათვის „ბოლშევიკური პარტიის მომზადება პროლეტარული რევოლუციისათვის". საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში". საღამოს 8 საათზე.

საქ. ა. ლ. კ. კ. კაბინეტი — ჯგუფური კონსულტაცია პოლიტსაუბრებისა და პოლიტგანათლების სკოლების პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „ბოლშევიკების პარტია 1905 წლის რევოლუციაში". საღამოს 8 საათზე რუსულ ენაზე.

თავზარდაცემულნი: მარიამ, გიორგი შვილებით: ნინა, ელიკო, საშა ბურდიაშვილები იუწყებიან ძვირფას, საყვარელ დაუვიწყარ რძლის

ოლია ნესტორის ასულ ზაქარაია-ბურდიაშვილის

უდროოდ დაღუპვას ქ. მოსკოვში. დაკრძალვა გამოცხადებული იქნება. 15340.

გულდამწვარნი მამა გერასიმე, ძმები: სტეფანე ცოლშვილით, გიორგი, და ნინო ქმრით ალექსანდრე ბარატოვით და შვილებით იუწყებიან

ანასტასია (ტასო) გერასიმეს-ასულ კუხალაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა თვრამეტში ქუთაისში, [illegible], 5. 15335.

თავზარდაცემული დედა ეფროსინე, ცოლი ოლია, შვილები: ბედა, გოგა, ნაზია, ძმა ეპიფანე ცოლშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიზე იონას-ძე ბაბუა

დაკრძალვა 19 ივლისს ახალსენაკში ივერიის ქუჩა. 15341.

უახლოესი მეგობრები: ლოლობერიძე, მენდელია, ზერეკიძე, ხაზარაძე, ასათიანი, თოფურია, ძაგანია, ბუხაშვილი, მატიაშვილი და აბზიანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოლია ჯუღელის მამის

ნესტორ გიორგის-ძე ჯუღელის

გარდაცვალებას. 15343.

გულდამწვარნი: დედა კესარია, დედამთილი ეფემია, ქმარი პეტიკო, შვილები: ერიკო, გურამი იუწყებიან

ქსენია ნიკოლოზის - ასულ გრიგოლიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა თვრამეტში 5 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე. [illegible] 6. 15337.

ღრმად დამწუხრებული დედა ქრისტინე, და ბაბილინა ახობაძეები, დისშვილი ნინო ტალიკაძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი სიცოცხლით სავსე

ნელინა (ცაცა) ახობაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. კულაშში 18 ივლისს. 15336

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი მწუხარებით იუწყებს საზოგადოებას ქარხნის სამუშაოთა მწარმოებლის

ვახტანგ შენგელიას

უდროოდ გარდაცვალებას. 15345.

ნ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.